SPINECOR®

movement is life...

ბავშვთა და მოზრდილთა სქოლიოზის მკურნალობა

20 YEARS SpineCor CLINICALLY PROVEN

სქოლიოზის კონსერვატიული მკურნალობა კორსეტით

სქოლიოზის კონსერვატიულ მკურნალობას 2000 წელზე მეტი ხნის ისტორიას აქვს. სამკურნალოდ კორსეტისა და ყალიბის გამოყენების მცდელობა შედარებით ნაკლებ დროს, დაახლოებით 500 წელს ითვლის.

სქოლიოზის მკურნალობა სიგრძივი დაჭიმვით პირველად ჰიპოკრატემ აღწერა მე-5 საუკუნეში ჩვენს ერამდე. მისი ადრეული ნაშრომი ეძღვნებოდა დაჭმვის მეთოდის გამოყენებას „ჰიპოკრატეს სკამის“ საშუალებით. ხერხემლის დეფორმაციების სამკურნალოდ პირველად ამბრუაზ პარემ მიმართა მყარი საყრდენი კორსეტების გამოყენებას (1510 -1590), მაგრამ რეალურად მხოლოდ ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე დაიწყეს კორსეტების ინტენსიური და უფრო ეფექტური გამოყენება.

- 1958 მილუოკის კორსეტი
- 1969 ვილმინგტონის კორსეტი
- 1972 ბოსტონის კორსეტი
- 1979 ჩარლსტონი კორსეტი
- 1992 პროვიდენს კორსეტი
- 1995 დინამიურ კორსეტი სპაინკორ (ბავშვის)
- 2007 ტკივილსაწინააღმდეგო კორსეტი სპაინკორ (მოზრდილთათვის)

დღეს...

2016 კორსეტი **Comfort Plus** .....

..... საუკეთესო არჩევანია ბავშვთა და მოზრდილთა სქოლიოზის სამკურნალოდ

ბავშვების მკურნალობა

კორსეტი SpineCor მოწოდებულია 5 წლისა და მეტი ასაკის ბავშვების იდიოპათიური სქოლიოზითა და ზოგიერთი სხვა სინდრომით გამოწვეული ხერხემლის 20 -დან 50 °-მდე გამრუდებების შემთხვევებისთვის (პროგრესირების მაღალი რისკის არსებობისას კორსეტის გამოყენება რეკომენდებულია 15°-იდან გამრუდების დროსაც).

SpineCor კორსეტით ფიქსაციის დინამიური ხასიათი ბავშვის ორგანიზმს ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობას არ უზღუდავს, მაშინ როცა მყარი კორსეტები გამრუდების მხოლოდ ადგილობრივ კონტროლს ახდენენ კონკრეტული სეგმენტის მოძრაობის შეზღუდვით.

SpineCor სისტემით ბავშვების მკურნალობის უპირატესობა

- დეფორმაციის ხანგრძლივი კორექცია/სტაბილიზაცია შემთხვევათა 59%-ში *
- ქირურგიული ჩარევის თავიდან აცილების შესაძლებლობა შემთხვევათა 77%-ში *
- კორსეტი სრულიად მოქნილია და იძლევა ბუნებრივი მოძრობისა და განვითარების საშუალებას
- ბავშვებს შეუძლიათ იცხოვრონ ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებით
- კორსეტის ტარება ტანსაცმლის ქვეშ შეუმჩნეველი და კომფორტულია
- ბავშვები უფრო იოლად თანხმდებიან მიიღონ ამგვარი მკურნალობა, რაც უკეთეს შედეგს განაპირობებს
- კუნთების დასუსტების (ატროფიის) არარსებობა, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს მყარი კორსეტით
- მკურნალობას

* პაციენტებში, რომელთა დიაგნოზი აკმაყოფილებს SRS (სქოლიოზის კვლევის ასოციაციის) განსაზღვრებით მკურნალობის ჩვენებებს და შეესაბამება SpineCor მკურნალობის პროტოკოლს

SpineCor სისტემით მკურნალობის შედეგები

მოზარდთა იდიოპათიური სქოლიოზის 25°-დან 40°-მდე გამრუდების მკურნალობისას SpineCor კორსეტი უფრო ეფექტურია ვიდრე მყარი (TLSO и Providence) კორსეტი.

ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ დინამიური კორსეტით მკურნალობისას ქირურგიული ჩარევის თავიდან აცილების შანსი მნიშვნელოვნად იზრდება ისევე, როგორც გამრუდების სტაბილური კორექციის შესაძლებლობა.

სქოლიოზის მრუდი	მყარი კორსეტი Boston[1]	მყარი კორსეტი Providence[1]	რბილი დინამიური კორსეტი SpineCor[2]
კორექცია/ სტაბილიზაცია	15%	31%	**59%**
პროგრესირება 6°-ით და მეტად	85%	69%	**41%**
პროგრესირება 45°-ზე მეტად	56%	45%	**1%**
ქირურგიული გამოსავალი	79%	60%	**23%**

მაგალითი პრაქტიკიდან



მკურნალობამდე | 24 თვე კორსეტში | კორსეტის მოხსნიდან 5 წლის შემდეგ

პაციენტის შემოწმებამ 5 წლის შემდეგ აჩვენა პირველადი გამრუდების კუთხის შემცირება 5°-მდე, რაც ნიშნავს, რომ კორექცია გაგრძელდა კორსეტის მოხსნის შემდეგაც. ეს შესაძლებელი გახდა ნეირო-კუნთოვანი კომპონენტის ინტეგრაციით კორექციის პროცესში.

1. Janicki J.A, Poe-Kochert C, Armstrong DG, Thompson GH. A comparison of the Thoracolumbosacral Orthosis and Providence Orthosis in the Treatment of Adolescent Idiopathic Scoliosis: Results using the New SRS Inclusion and Assessment Criteria for Bracing Studies. J Pediatr Orthop. 2007 Jun; 27(4):369-374.

2. Coillard C, Vachon V, Circo AB, Beausejour M, Rivard CH. Effectiveness of the **SpineCor** Brace Based on the New Standardized Criteria proposed by the Scoliosis Research Society for Adolescent Idiopathic Scoliosis. J Pediatr Orthop. 2007 Jun; 27(4):375-379.

info@spinecor.com

www.spinecor.com

მკურნალობა მოზრდილთათვის

SpineCor მეთოდით მკურნალობა ნებისმიერ ასაკს ესადაგება. სქოლიოზისა და ხერხემლის სხვა დეფორმაციების მქონე მოზრდილებში იგი უზრუნველყოფს ტკივილის მოხსნასა და ტანდეგობის კორექციას და ხელს უშლის გამრუდების პროგრესირებას.

SpineCor კორსეტი ახდენს რა სქოლიოზის ეფექტურ კონტროლს, იმავე დროს უნარჩუნებს სხეულს ნორმალური მოძრაობის შესაძლებლობას. იგი ამცირებს ფიქსატორზე დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და კუნთოვანი ატროფიის რისკს, რაც ყოველთვის თან ახლავს სხვა კორსეტების გამოყენებას.

ხერხემლის გამრუდების სპეციფიურ ანტაგონისტურ საკორექციო მოძრაობებთან კომბინაციით, SpineCor კორსეტი უზრუნველყოფს ხერხმლის გამრუდებისა და ტანდეგობის ინდივიდუალურ და ლოკალურ კონტროლს..

მოზრდილთა მკურნალობის ძირითადი მიზნები

- **ტკივილის მოხსნა:** ხერხემლის ბალანსის გაუმჯობესება იწვევს ტკივილის მოხსნას ხერხემლის (სახსრების, ნერვული ფესვების, კუნთების) განტვირთვის გზით
- **ტანდეგობის კორექცია:** მსუბუქი საკორექციო მოძრაობების საშუალებით SpineCor® კორსეტი ახდენს ტორსის პოსტურალური სეგმენტების სისწორის აღდგენას
- **პროგრესირების პრევენცია:** ხერხემლის დგომის მდგრადი გაუმჯობესება ხელს უწყობს ტანდეგობის გაუარესებისა და ხერხემლის დეგენერაციული დარღვევების შემდგომი პროგრესირების პრევენციას

SpineCor მეთოდით მკურნალობის შედეგები

SpineCor მეთოდით მკურნალობა მთელს მსოფლიოში ათასობით ადამიანზეა აპრობირებული და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას (90%) ტკივილები მოეხსნა ან შეუმცირდა საშუალოდ 70%-ით.

მაგალითი პრაქტიკიდან

ქალი, 47 წლის, დეგენერაციული სქოლიოზი De-Novo. მკურნალობამდე ტკივილის საშუალო დონე აღწევდა 8/10 ქულას.

კორსეტის მორგებისთანავე აღინიშნა ტკივილის შემცირება 3/10-მდე. საწყისი რენტგენოგრაფიით გამოვლინდა 40°-იანი სქოლიოზი. კორსეტის მორგებით რენტგენოგრამამ აჩვენა გამრუდების 7°-ით შემცირება 33°-მდე. ტკივილის შემცირება 0 - 3/10-მდე და ხერხემლის კორექცია შენარჩუნდა 2 წლის განმავლობაში კორსეტის ყოველდღიური ხმარების ფონზე. ყურადღება მიაქციეთ მარცხენამხრივი გადახრის შემცირებას, რაც ხელხემლის განტვირთვის მაჩვენებელია.



Courtesy of Dr T Pappas, Chicago, IL

დინამიური საკორექციო კორსეტი

SPINECOR®
movement is life...

SpineCor სერიის დინამიური კორსეტი შედგება ღვედების მენჯისა და ტორსის ნაწილისგან (ბოლერო), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშრებულია ოთხი ძლიერი ელასტიური საკორექციო ქამრით.

- არაჭიმვადი, მჭიდროდ მორგებული ბოლერო, რომელიც ორშრიანი დაკრონისგან არის დამზადებული, გულმკერდის მდგომარეობას მხრის სარტყელისა და ნეკნთა რკალის ქვედა ნაწილის საშუალებით აკონტროლებს.
- საკორექციო ღვედები აღჭურვილია უჟანგავი სამაგრებით, რომლებიც იოლი და უშეცდომო ფიქსაციის საშუალებას იძლევა ბავშვებისთვისაც კი.
- მენჯის ნაწილი აღჭურვილია 7 რეგულირებადი შესაკრავით, რაც ზუსტ ინდივიდუალურ მორგებას უზრუნველყოფს და იოლად შეიძლება შეიცვალოს სხეულის ცვლილების შესაბამისად.
- მენჯის ნაწილის ღია დიზაინის იოლი ტუალეტის საშუალებას იძლევა.

▪ რეკომენდებულია...

ბავშვებისთვის: ✓✓✓
მოზრდილებისთვის: ✓

სპეციალურად ბავშვებისთვის შექმნილი დინამიური საკორექციო კორსეტი მათ მზარდ ორგანიზმთან მაქსიმალური ადაპტაციის საშუალებას იძლევა.

შეცდომის გამომრიცხავი უჟანგავი სამაგრები და მენჯის ნაწილის ღია დიზაინი განსაკუთრებით კომფორტულია მცირეასაკოვანი პაციენტებისთვის - ისინი ამცირებენ კორსეტის მოხსნის აუცილებლობას ტუალეტით სარგებლობისას.

კორსეტის ადაპტირებადი დიზანი და ტუალეტით იოლად სარგებლობის შესაძლებლობა ასევე მოსახერხებელია მოზრდილთათვის, თუმცა უჟანგავი ლითონით დამზადებული სამაგრების ხმარება შესაძლოა უფრო რთული აღმოჩნდეს ხანდაზმული პაციენტებისთვის.

info@spinecor.com www.spinecor.com

ტკივილ-საწინააღმდეგო კორსეტი

SPINECOR®
movement is life...

SpineCor სერიის დინამიური კორსეტის მეორე თაობა, ტკივილსაწინააღმდეგო კორსეტი შედგება შორტისა და მჭიდრო ჟილეტისაგან (ბოლერო), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშრებულია ოთხი ძლიერი ელასტიური საკორექციო ქამრით.

- აარაჭიმვადი, მჭიდროდ მორგებული ბოლერო, რომელიც ორშრიანი დაკრონისგან არის დამზადებული, გულმკერდის მდგომარეობას მხრის სარტყელისა და ნეკნთა რკალის ქვედა ნაწილის საშუალებით აკონტროლებს.

- ველკროს შესაკრავები ლითონის სამაგრების საიმედო ალტერნატივას წარმოადგენენ და, თანაც, ხანდაზმული პაციენტებისთვის მათი გამოყენება უფრო იოლია.

- ნახევრად რეგულირებადი შორტი მენჯის ღვედების სისტემის მოხერხებულ ალტერნატივას წარმოადგენს. ნაწილობრივ ჭიმვადი ქამარი და ქსოვილი ზომის გარკვეული ვარირების საშუალებას იძლევა პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

▪ რეკომენდებულია...

ბავშვებისთვის: ✓✓
მოზრდილებისთვის: ✓✓✓

ტკივილსაწინააღმდეგო კორსეტი ხანდაზმული პაციენტებისთვის უფრო მარტივად მოსახმარია. ამ შემთხვევაში, რადგან პაციენტის სხეულის ზომის ცვლილება ნეკლებად აქტუალურია, მენჯის ნაწილის ალტერნატივად გამოყენებულია უფრო კომფორტული და ელასტიური შორტი.

ბავშვებისთვისაც კომფორტული და იოლია ამ კორსეტის გამოყენება, თუმცა მცირე ასაკის პაციენტებისთვის, ვისაც არ შეუძლია კორსეტის დამოუკიდებლად მოხსნა და შემდეგ სწორად მიმაგრება (ველკროს სამაგრი არასწორად მიმაგრების რისკს ზრდის), შესაძლოა უკეთესი არჩევანი იყოს დინამიური საკორექციო კორსეტი ან კორსეტი „Comfort Plus".

კორსეტი

Comfort Plus®

Brace

ბავშვთა და მოზრდილთა სქოლიოზის მკურნალობა

SPINECOR®
movement is life...

სრულიად ახალი კორსეტი Comfort Plus აერთიანებს რბილი კორსეტით სქოლიოზის კონსერვატიული მკურნალობის 20-ზე მეტი წლის გამოცდილებას. ეს მჭიდროდ მომდგარი, Meryl©/Lycra© მასალით დამზადებული სარტყელი, იყენებს რა დაპატენტებულ SpineCor საკორექციო მოტორიკის პრინციპებს, პაციენტთათვის მნიშვნელოვან კომფორტსა და კონტროლს უზრუნველყოფს.

Comfort Plus დიზაინი ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

1. მოხერხებული და საიმედო კორსეტის შექმნა, რომელიც პასუხობს როგორც ბავშვთა, ასევე მოზრდილთა საჭიროებებს.

2. „საკორექციო მოძრაობების“ მეტი კონტროლის განხორციელებით კორსეტის ეფექტურობის გაზრდა და დიდი და რიგიდული გამრუდებების უკეთესი მკურნალობა

კორსეტის გაუმჯობესებისკენ მიმართული ამგვარი ცვლილებები ზრდის პაციენტთა მიერ მკურნალობის მიმღეობას და უიოლებს მათ მკურნალობის წესების დაცვას, რაც საბოლოო შედეგზე დადებითად აისახება, თუმცა ეს არ არის ყველა სიახლე...

info@spinecor.com www.spinecor.com

შორტის დიზაინი

- ველკროს მასალით დამზადებული მოხრილი ქამრის რეგულირება შესაძლებელია, როგორც სიმაღლის, ასევე დაჭიმვის მიხედვით, რაც მაქსიმალურ მორგებას უზრუნველყოფს.
- დიდი მოხსნადი სამაგრი ბევრად აიოლებს ტუალეტით სარგებლობას.
- შეკერილია იგივე მასალით Meryl®, რითაც ბოლერო, რაც განსაკუთრებულ კომფორტს უქმნის პაციენტს.
- განსაკუთრებული დიზაინისა და მატერიის Meryl® უფრო მეტი ელასტიურობის გამო შორტები ადაპტირებადია სხეულის ზრდის პროცესში.

ბოლეროს დიზაინი

- ჟილეტი - ბოლეროს დიზანი, თავისი უნიკალური დამჭიმავი სისტემით კომფორტთან ერთად თავისუფლად მოძრაობის საშუალებას აძლევს პაციენტს.
- ბოლეროს მთლიანი დიზაინი უზრუნველყოფს „საკორექციო მოძრაობებით“ გაპირობებული ძალის ეფექტურ გადაცემას მხრის სარტყელსა და გულმკერდზე.
- მაღალხარისხოვანი მატერია Meryl® მიკრობოჭკოვან Lycra®-სთან კომბინაციაში კარგ ჰაერგამტარობას და ტენის შეწოვას უზრუნველყობს, რაც კორსეტს უფრო კომფორტულს ხდის.

წარმმართველი ქამრები

- საკორექციო ქამრებისთვის გამოყენებული მაღალი ხარისხის ელასტიური მასალა სპეციალურად შეიქმნა სქოლიოზის მკურნალობის უნიკალური მოთხოვნების გათვალისწინებით.
- სტანდარტულად 50 და 75 მმ სიგანის ქამრები მეტად კომფორტულია და, ამავე დროს, დაჭიმვის გაზრდის საშუალებასაც იძლევიან.
- სხვა კორსეტებში გამოყენებულ ქამრებთან შედარებით, 50 მმ ქამრებს 25% -ით, ხოლო 75მმ სიგანისას - 50% -ით მეტი ძალის მოდება შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში.
- დაბალპროფილიანი ველკროს ტიპის მასალის გამოყენება კორსეტს ტანსაცმლის ქვეშ შეუმჩნეველს ხდის.

კორსეტის კომპონენტები

- ახალი ბოლეროს, შორტებისა და საკორექციო ქამრების არსებული არჩევანი კორსეტის ზომების 46 სმ-დან 135 სმ-მდე ვარირების საშუალებას იძლევა თეძოს გარშემოწირულობის შესაბამისად.
- კორსეტის Comfort Plus ტარება ჩვეულებრივ საცვლებზეც შესაძლებელია სპეციალური ბოდეს გარეშე, თუმცა სპეციალური ერთიანი მჭიდრო ქვედა სამოსი ასევე ხელმისაწვდომია პაციენტებისთვის.
- უფრო ეფექტური “საკორექციო მოძრაობა©» მიიღწევა კონსტრუქციის სტაბილურობით და საკორექციო ქამრების მომჭიმავი ძალის ფართო გრადაციით.

SPINECOR®

movement is life...

“ ტკივილსაწინააღმდეგო SpineCor კორსეტით მკურნალობა ძალიან ეფექტური იყო. კორსეტი მნიშვნელოვნად დამეხმარა კუნთოვანი სისტემის გაძლიერებასა და ტანდეგობის გაუმჯობესებაში. რაც მთავარია, მან ტკივილის ინტენსიობა თითქმის მუდმივად ნულამდე შეამცირა. აუცილებლად ვურჩევდი ყველას, ასაკის მიუხედავად, ვისაც აქვს სქოლიოზი, უნდა ტკივილებისგან განთავისუფლება ან ზოგადად, ხერხემლის მდგომარეობის გაუმჯობესება. ”

“ საკორექციო დინამიური კორსეტი SpineCor - ეს არის ინჟინრული სიახლე, რომელიც ეფექტურობასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს სქოლიოზის მქონე პაციენტის კარგ განწყობაზე, თვითშეფასებასა და ცხოვრების ხარისხზე. ”

“ კორსეტი ტორსისთვის განსაკუთრებულ საყრდენს ქმნის, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჩემს ტანდეგობას და შესაბამისად უკეთ გამოვიყურები არა მხოლოდ კორსეტის ტარებისას, არამედ მისი მოხსნის შემდეგაც. მე დარწმუნებით ვურჩევდი ტკივილსაწინააღმდეგო კორსეტს SpineCor ყველას, ვისაც სქოლიოზი აქვს. ”

“ ჩემი კორსეტი SpineCor... საოცრად დამეხმარა. მან შეაჩერა გამრუდების პროგრესირება და მნიშვნელოვნად შემიმცირა ზურგის ტკივილი. ახლახან ტანდეგობაც შემიქეს. დიდი მადლობა SpineCor გუნდის შესანიშნავ ექიმებს ”

20 YEARS SPINECOR CLINICALLY PROVEN

SpineCor არის კომპანია The SpineCorporation Limited, რეგისტრირებული სავაჭრო მაჭრა.

© 2018 The SpineCorporation Limited
ყველა უფლება დაცულია. კომპანიის - The SpineCorporation Limited წერილობითი თანხმობის გარეშე ამ სახელმძღვანელოს არანაირი შინაარსობრივი და გამოსახულებითი ნაწილი არ შეიძლება იყოს გამოყენებული ან გადაცემული მესამე პირისთვის არც ერთი ფორმით და საშუალებით.

CE

info@spinecor.com

www.spinecor.com